

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a></p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის(სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა-მათემატიკა</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>მათემატიკის მაგისტრი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. 50 კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებს, 25 კრედიტი არჩევითი მიმართულების საგნებს, 15 კრედიტი თავისუფალი კომპონენტის საგნებს, ხოლო 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომს</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური განათლება მათემატიკის ფუნდამენტურ მიმართულებებში, რომელიც აძლევს თანამედროვე ორიგინალური იდეების შემუშავების და კვლევაში მისი გამოყენების საშუალებას;</li> <li>• უზრუნველყოს მრავალმხრივი და ფართო განათლების მიღების ინტერესების მქონე მაგისტრანტ სტუდენტთა მისწრაფებების დაკმაყოფილება მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებში(გეომეტრია და ტოპოლოგია, ალგებრა და მათემატიკური ლოგიკა, მათემატიკური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, ალბათობის თეორია და ფინანსური მათემატიკა) თეორია არჩევითი მოდულების შეთავაზებით;</li> <li>• გამოუმუშაოს ისეთი ჩვევები, რომლებიც მას მისცემს უნარს რომელთა გამოყენებით შესაძლებელია მათემატიკურ და არამათემატიკურ დარგებში წარმოქმნილი თეორიული და/ან პრაქტიკული პრობლემების გაგების, ანალიზის, შეფასების და გადაწყვეტის უახლესი მეთოდებისა და გზების შემუშავება.</li> <li>• შესძინოს სტუდენტს ჩვევები, რომლებიც განუვითარებს მას უნარს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიური მიღწევების დონეზე აკადემიურ და სამეცნიერო საზოგადოებას გააცნოს თავისი დასკვნები, არგუმენტაციები, კვლევის მეთოდები და შედეგები.</li> </ul>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებების ღრმა და სისტემური ცოდნით შეუძლია გააცნობიეროს მათემატიკის თეორიული პრობლემები და პრაქტიკული ამოცანები. ფლობს მათემატიკის კვლევის ძირითად მეთოდებს და იცის სხვადასხვა ტიპის მათემატიკური პრობლემების აღწერისათვის და გადაწყვეტისათვის საჭირო პროგრამული ენები.</li> <li>• შეუძლია მათემატიკური დებულებების ჩამოყალიბება და დამტკიცება, შესაბამისი სირთულის მათემატიკური თეორიის აგება, გამოკვლევა და მიღებული შედეგების ანალიზი.</li> <li>• შეუძლია კონკრეტულ მათემატიკურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევა და ანალიზი, გააჩნია მსჯელობის წარმოების და მისგან გამომდინარე სწორი დასკვნების გაკეთების უნარი.</li> <li>• შეუძლია მათემატიკური თეორიის აგება და ჩამოყალიბება, მიღებული შედეგების შესახებ სამეცნიერო შრომის მომზადება და მოხსენების გაკეთება</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• დამოუკიდებლად შეუძლია მათემატიკის თანამედროვე მიმართულებებიდან აქტუალური დარგის განსაზღვრა და შესწავლა.</li> <li>• აცნობიერებს სამეცნიერო მუშაობისათვის მათემატიკის კლასიკური და თანამედროვე დარგების მნიშვნელობას და მათ გამოყენებით ღირებულებას.</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>შეფასების წესი</b></p>	<p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b></p> <p>არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;</p> <p>გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი “ჩაიჭრა” შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p>
<p style="text-align: center;"><b>საკონტაქტო პირი</b></p>	<p>სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე  სრული პროფესორი იაშა დიასამიძე  სრული პროფესორი ონისე სურმანიძე</p>